№ 30

ამშაბათი, 10 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 8 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 9 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 30

სამშაბათი, 10 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


# ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 11 თებერვალს,

ბენეფისი

## მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ქნ. ბარბარე ავალიშვილისა და ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

## ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედ. თარგ .ა. ცაგარლისა

II

## ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **კ. მესხი.**



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ

**ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის**

## შულცე-ზენკოვსკისას.

ღიაა ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში

ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდესისა და მოსკოვისა

(5—28—2) შესვლა ღირს 20 კაპ. დაწვრილებით აფიშებშია

**ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან**

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში 14 თებერვალს, 1898 წ. დანიშნულია

## საზოგადო კრება

ქართველ თა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.

2. არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენლისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

(3—6.—3)


## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: გუბერნსკი სეკრეტრებს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსს საქმეთ-მწარმოებელთ ბახტაძეს, ქუთაისის გუბერნიის სამაზრო სამმართველოთა საქმეთ-მწარმოებელთ ზუგდიდისას კეიდიას, ქუთაისისას ხაბურზანიას, მოხელეს ოზურგეთის სამაზრო სამმართველოსას კვაშალს, ბათუმის საპოლიციო ნაწილის საქმეთ-მწარმოებელს ჯაველიძეს და ქუთაისისას ლოლობერიძეს და ტფილისის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს თავ. ნაკაშიძეს—კოლეჟსკი სეკრეტრობა.

კოლეჟსკი რეგისტრატორებს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელეს გრიგოლაშვილს, ლეჩხუმის სამაზრო სამმართველოს მოხელეს ახვლედიანს, სენაკის სამაზრო სამმართველოს თარჯიმანს ჯავახიას, ზუგდიდის სამაზრო სამმართველოს არხივის გამგეს ჯგუშიას, ოზურგეთის სამაზრო სამმართველოს მოხელეს ქარცივაძეს, სენაკისას—კალანდარიშვილსა და მასხულიას, ზუგდიდისას—ჩხოლარიას, თიონეთისას—ცისკარაშვილს, თელავისას თარჯიმანს კიკნაძეს და ზუგდიდის პოლიციის ბოქაულს შენგელიას—გუბერნსკი სეკრეტრობა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს ლოლობერიძეს, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელეს კანდელაკს, ქუთაისის სამმართველოს სამაზრო მოხელეს საყვარელიძეს, სვანიძეს და ალხაზიშვილს, ზუგდიდისას კეიდიას, ოზურგეთისას — კალანდარიშვილს, იორაიშვილს და ასათიანს, ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს თარჯიმანს ყარალაშვილს, თელავის პოლიციის სამმართველოს რეგისტრატორს ნარეკლიშვილს, პოლიციელებს ტფილისის პოლიციისას ქურდოვანიძეს და ქორქიას—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ნადვორნი სოვეტნიკობა ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრს კოლეჟსკი ასესორს გელოვანს.

უმაღლესად ნება დართოთ ატარონ ლენქორანის მეოთხე ნაწილის პოლიციის ბოქაულს არობელიძეს—ორდენი ლომისა და მზისა, მესამე ხარისხისა, სპარსეთის შაჰის მიერ ნაწყალობევი, და ტფილისის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს კოლეჟსკი ასესორს გედევანიშვილს—ბუხარის ვარსკლავი ვერცხლისა, პირველის ხარისხისა, ბუხარის ემირის მიერ ნაწყალობევი.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 8 თებერვალს, ქართულ თეატრში, რეჟისორის კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა თავ. სუმბათაშვილის დრამა „არკაზანოვები“. რომელიც ქართულ სცენისათვის გადმოაკეთა თვით მობენეფისემ. პიესა ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, რომელიც საკმაოდ დაესწრო ამ წარმოდგენას. არტისტებმა კარგად ჩაატარეს ეს პიესა. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

დაწვრილებით ხვალ.

*** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ვიდრე ტფილისისა, ერევნისა და სხვა გუბერნიებში გაჩენილ თაგვების დასახოცად მერეჟევსკის საშუალებით საწამლავს დაამზადებდეს ტფილისის სამხედრო-სამკურნალო საბაქტერიოლოგო სადგურში, დაადგინა ხელმეორედ ვცადოთ ეს საწამლავი, გამოდგება თუ არა თაგვების დასახოცადაო. ამ აზრით საზოგადოებამ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა დაიწყო, რომ გამოგვიგზავნეთ მერეჟევსკის მიერ ახლად დამზადებული თაგვის საწამლავი და თუ ივარგა, ამ სითხის დამზადებას ტფილისში შევუდგებითო.

*** თელავის მაზრის სოფ. ბუშათში ამ ჟამად გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა ყივანა-ხველა. ბევრი ბავშვია ავად ამ სენით.

*** პეტერბურგის ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის გამგეობა მთლად იმპერიაში ყრუ-მუნჯთა რიცხვისა და ყოფა-მდგომარეობის გასაგებად სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, რომ დაახლოვებითი ცნობები გამოგვიგზავნეთ, თქვენდამი რწმუნებულს გუბერნიაში რამდენი ყრუ-მუნჯია და რა საშუალებასა ჰხმარობენ ყრუ-მუნჯთა შორის წერა-კითხვისა და სხვა-და-სხვა ხელობის ცოდნის გასავრცელებლადაო.

*** შაბათს, 7 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოში ქ. ნიცას გარდაცვალებულის ჩვენის თანამემამულის ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის წერილი გახსნეს. განსვენებულს ტფილისში 4 სახლი და 400 ათას მანეთამდის ფული დაუტოვებია. იმ ფულს გარდა, რომელიც განსვენებულის ქვრივსა, ძმასა, დასა და სხვა ნათესავებს მიეცემათ ანდერძისამებრ, დანარჩენი ფული და სახლი, რომელიც სასამართლოს ქუჩაზეა, ქვემოდ დასახელებულ შეწირულებათა გამოკლებით, უნდა გადაეცეს ქალაქის გამგეობას შეუძ-

## ფელეტონი

### დღეობა

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

შაბათი საღამო იყო და სოსიას ცოლი მარიამი მოუთმენლად, გულის ფანცქალით ელოდდა ქმარს, უნდოდა ჩქარა შეეტყო: იშოვნა თუ არა ეხლა მაინც სადღეობო ფულიო. როგორც ყოველ შაბათ საღამოს, დღესაც მთელი ქვემო-ქიზიყის სხვა-და-სხვა სოფლის მუშა-ხალხი სოფელს მაჩხაანზედ მორუვდებოდა ვენახ-მინდორ - კალოებიდგან ჯგუფ-ჯგუფად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩვეულებრივის სიმღერით, მხიარულის მასლაათით, ოხუნჯობით და სიცილ-ხარხარით. ყველას ცოტა-დროებით დაევიწყა ცხოვრების ათას-გვარი ჭირ-ვარამი და ზოგს ცოლ-შვილთან მიუხაროდა, ზოგს დანიშნულთან, ზოგს ნიშანში ამოღებულ დასანიშნთან, ზოგს დედ-მამა-ნათესავთან, ზოგს ტოლ-ამხანაგთან და სხვანი. აგერ, ერთი ჯგუფი მუშებისა ორპირულად მოიმღერის:

მამულო, შენთვის მოვკვდები,
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
მტრის სისხლით წითლად შევღებავ
ჩემს ხანჯალსა და ხმალსაო!..
კაცსა ურგოსა ქვეყნისას
მეხიც დაეცეს თავსაო,
არ უყოს პირი მიწამა,
დაჰრჩეს მგელსა და სვავსაო!..
გმირო, მომკვდარო ქვეყნისთვის,
შენზე ვინ იტყვის ავსაო,
იგრე გვიყვარხარ, მკვდარიც-კი
შენ გვირჩევნიხარ თავსაო!..

აგერ, მეორე ჯგუფი ახალ-გაზდა მუშებისა მოიმღერის ორპირულადვე:

ნეტავი, გოგო, შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო,
ეგ შენი მარწყვის ტუჩები
ტუჩებზედ დამაკონაო!
მკვდარიც რო ვიყო, ავდგები
მე მაშინ სამარიდამო,
მაშ შემიბრალე, მზე-ქალავ,
ჩამოფრენილო ციდამო!
წამომყე, ცოლად შაგირთავ,
ვიგემოთ სამოთხეცაო,
ძუძუებს ხელის ჩაყოფა
შენც გაგახარებს, მეცაო!

აგერ, მეურმემ ხარს შოლტი გაუტყლაშუნა და ტკბილად დაიღუღუნა გულ-სევდიან ჰოროველაზედ:

ამირან-დევო, დევ-გმირო,
კილო არ იცი ომისა,
ხერხი გაჯობებს ღონესა,
თუნდ მკლავიც გქონდეს ლომისა.
შვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ძილს არ გაძინებს მძინარსა,
წავალ და იმას გიპოვნი,
წყალს ჩავუდგები მდინარსა.

აგერ, მესამე ჯგუფი მუშებისა მაღალ-ხმაზედ მასლაათობს სიცილ-ხარხარით, აბა იმათაც ცოტა-ხანს ყური ვათხოვოთ და მოვისმინოთ, ისინი რაღას ბაასობენ თავიანთებურის მსჯელობა შეხედულობით:

— გაიხანხლე მაინდააამ!.. შე ტაკიმასხარა ნამილოკიავ, რატო არა გცხვენიან: მღოღავი კუი შავარდენთან ფეხს როგო იწვდი! ცხენსა ჰჭედავდნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირა: მეც დამჭედეთო,—სწორეთ შენც ეგრე მოგდის, ჩემო გოგიავ!

— ნამდვილს ამბობ, ჩხვინკავ, ნამდვილს!.. სიცილ-ხარხარით მიუგებდნენ აქათ-იქიდგან მუშებს-შუა ჩამდგარს მოსაუბრეს.

— დაჰწყევლა ღმერთმა, რაღაცა უნდა მეთქვა და გადამავიწყდა...ჰო, ეს უნდა მეთქვა. ერთი ალალ-მართალი დევი და გაიძვერა-მოღალატე ნაცარქექია შაბმულან ერთ საქმეში. ეშმაკის კვერცხიდამ გამოჩეკილ სათოკე ნაცარქექიას სდომებია ქაჯური ღალატით დევის დამარცხება-სიკვდილი; დევს გაუგია და უთქვამ გაიძვერობით სავსე კუდბაწარა ნაცარქექიასათვის: ჰაი, შე გაქნილო და გაქლესილო არამზადავ, ჰაი, შე ძაღლის გუდაში ნადებო ვირის ხოხოზიკო, ჰაი, შე შურის ცეცხლით დახრუკულო ვირთაგვავ, ჰაი, შე გამოტვინებულო და გოგრა-ცარიელო კაჰკაჰო, შენ გინდა რო შენს ჰკვაზე მათამაშო მეშის ბურთივით, და მემრე ერთს უძირო კლდე-ღრეში გადამჩეხო, მაგრამ ვერ მოგართვეს გოჭის თავი, შენი ოსტატი ჩემი შაგირდი იყოო, და ეს იყო კიდეც:

გაქნილი ნაცარქექია
დევმა სუ გაამტვერაო,
მის მტვერიც ქვეშკნელს ჩაფანტა,
დევმა რო შაუბერაო!..

— ვაი ამოუგდოს ღმერთმა, ჩხვინკავ, კაი ბედნასი კაცი შენა ხარ!.. შე დალუპილო, შაირ-ლესკების გუდა გიძე მა ყბაში, თუ შენი თავი ხაზინაა ქვეყნის სიტყვა-ამბებისა?!

— კარგი, კაცო! ე, ჩხვინკავ, დააყე ე შაირების ტროიკა. ახლა ეს გვითხარ: რა მიზეზია, რო ორმოცი წლის კაცს ყველთვინ ემაგრე ბალღივით მიგიხარიანყე შინისაყენ?

— ის მიზეზია, ჩემო მალხაზი, რო ნათქვამია: კაი ცოლის პატრონს ლხინში რა უნდა, ლხინი შინვე აქვს და ავი ცოლის პატრონს ჰირში რა უნდა, სატირელი სახლშივე აქვო. გაიგე?

— შენ სწორე ხარ კუზიანზე, მემრე?

— მემრე რაღა, რა გითხრა, გონია ეხლა ი ჩემს გაზაფხულივით მშვენიერს და ია-ვარდივით საამებელს დედაკაცს მინდვრის ბატივით მოუღერებია ი ბროლის კულასავით ყარყარა ყელი, გონია ცის ელვასავით უბრწყინავს ი დიდრონი, შავიმაყვალივით ბრიალა თვალები კალმით ნახატ სახეზე და მოლოდინის ცხელებით თონესავით გახურებულს გონია თვალები სუ ჩემი გზისყენა სწყდება: აი ან ეხლა გამოჩნდება ჩემი ქმარი, ან ეხლაო. ვენაცვალე იმას ი გაიამზევარდებულ სახეში, ღმერთში და გამჩენში, სუ თაფლი და შაქარი ამოჰდის ი შარბათის ენა-პირიდამ, ამღამ ერთი ორმოცჯერ მაინც მეტყვის თაფლივით ტკბილ ხმაზე, უშარეტი სიყვარულის გაუქრობელი ცეცხლით თვალებ-აბრიალებული: გენაცვალე, ქა, ხო არ შაგცივდაო, შენი ჭირიმე, ქა, შენი ნახვის მოუთმენარი სურვილით მთვარესავით დავილევიყე, და როცა დაგინახავ მომავალს—ბრინჯივით ვიმატებ ხოლმეო, გენაცვალე,

*) იხილე „ივერია“ № 28

ლებელ ქრისტიან ბავშვთა თავ-შესაფარის დასაარსებლად. თავშესაფარში უნდა მოთავსდეს მხოლოდ ის ყმაწვილები, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიანთ და $^{1}/_{3}$ რომის კათოლიკეთა სარწმუნოებისა, $^{1}/_{3}$ მართლ-მადიდებელი და $^{1}/_{3}$ სომეხ-გრიგორიანთა ბავშვები. თავ-შესაფარს სახელად უნდა ეწოდებოდეს: „ღარიბთა თავ-შესაფარი ნიკ. ეგ. ზუბალაშვილისა“. თუ ქალაქის საბჭო არ მიიღებს ხსენებულ სახლსა და ფულს რაიმე მიზეზის გამო, მაშინ იგი რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიასთან არსებულ ძმობას გარდაეცემა განსვენებულის სურვილის სისრულეში მოსაყვანად.

ამას გარდა განსვენებულს უანდერძნია: 1) 19 ათასი მან. ტფილისის რომის კათოლიკეთა ძმობისათვის, 8,500 მან. სარგებელი ხსენებულ ძმობის სამღვდელოებას ყოველ-წლიურად პანაშვიდების გადასახდელად და წირვაზედ მოსახსენებლად; 8,500 მან. სარგებელი მიძინების ეკკლესიის წინამძღვრის განკარგულებით მუდამ წელს ღარიბებს უნდა დაურიგდეთო და 2 ათას მან. სარგებელი უნდა მოჰხმარდეს განსვენებულის ნათესავთა ძეგლებისა და საფლავების მორთვა-მოწყობას; 2) 2 ათასი მან. ზემოხსენებულ ეკკლესიასთან არსებულ სასწავლებლისათვის; 3) 2 ათასი მან. რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიის განახლება-გამშვენიერებისათვის; 4) ათას-ათასი მან. გორის და ტფილისის პეტრე-პავლეს ეკკლესიების მომართვა-მოწყობისათვის; 5) 8 ათას მან. გორის მაზრის ერთის ღარიბის თავადის ან აზნაურის შვილის აღსაზრდელად; 6) 6 ათას მან. ვიშის რომის-კათოლიკეთა ეკკლესიის ძმობას, რომლიდგანაც 4 ათას მან. სარგებელი უნდა მიეცეს სამღვდელოებას ძმის იოსების სულის მოსახსენებლად და 2 ათას მან. სარგებელი-კი განსვენებულის საფლავზედ ნიშნის აგებასა და შენახვას უნდა მოჰხმარდეს; 7) 6 ათას მან. სარგებელი განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვასა და პანაშვიდებს. განსვენებულის სახლი, რომელიც იუნკერთა სასწავლებლის მოედნის მახლობლადაა, უნდა გაიყიდოს და ფული თანხას მიემატოს, დანარჩენი ორი სახლი-კი განსვენებულის მახლობელ ნათესავებს უნდა გადაეცეს. ამ ანდერძის წერილს გარდა საზღვარ-გარეთ ინახება თურმე ამ ანდერძის წერილის დამატება, რომლის შინაარსიც გამოქვეყნებულ იქმნება განსვენებულის გვამის ტფილისში გადმოსვენების შემდეგ. („ნ. ო.“)

*** გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ კავკავიდგან, რომ 8 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზედ, მოვიდა აქ მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითა და ამალით. მთავარ-მართებელს მიეგება თერგის ოლქის უფროსი გენ.-ლეიტ. კახანოვი და სხვა მოხელეობა. მთავარ-მართებელი კავკავიდგან ამავე დღეს, ღამის 12 საათზედ, წავიდა მატარებლითაო.

*** გაზ. „Тер. Вѣд.“ სწერს, რომ თერგის ოლქის უფროსი შეეკითხა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ რა თანხაა საჭირო კავკავში პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად საჭირო შენობისა, პირველ მოწყობა-მომართვისა და შესანახადაო და მზრუნველისაგან პასუხად მიიღო, რომ რიგის პოლიტეხნიკუმს 155,000 მან. დასჭირდა და კავკავის პოლიტეხნიკუმს 150,000 მ. მოუნდება მუდამ წელიწადსაო. რაკი თერგის ოლქი უხვად არის დაჯილდოვებული ბუნებისაგან, ამიტომ წელიწადში 80,000 მან. ძლევა დაგჭირდებათ, ამას გარდა ქალაქმა 30,000 მან. უნდა აძლიოს და დანარჩენი შეიძლება ხაზინამ იკისროსო.

*** გაზ. „ტერ. ვედ.“ სწერს, რომ ქ. პიატიგორსკის მ ცხოვრებლები ამ ჟამად დიდად შეაწუხა და დაალონა იმ ამბავმა, რომ მღ. ვ. ერისთავი თავს ანებებს სამსახურსაო. მღ. ერისთავი 50 წლის განმავლობაში გულ-მოდგინედ ასრულებდა თავისს მოვალეობას და გაჭირვებულს მოყვასს მუდამ აძლევდა რჩევასა და დარიგებას. პიატიგორსკში არ არის ისეთი ოჯახი, რომ მამა ვასილის მონათლული და ან ჯვარ-დაწერილი ვინმე არა ჰყავდეს. მღ. ვასილმავე დაასაფლავა რუსეთის ცნობილი მგოსანი ლერმონტოვი.

*** გაზ. „კასპი“ სწერს, რომ ბიბი-ეიბათის მოედანზედ, ვიშაუს სამრეწველოში დიდის ძლიერებით ამოდის ნავთი შადრევანიდგან. შადრევანმა რვა გოჯიანი თუჯის ფილაქანი გაარღვია, ტბა, რომელშიაც 10 მილ. ფუთამდის ნავთია, ივსება და საცაა გადმოხეთქავს. აუარებელი ხალხი ჰმუშაობს სამრეწველოსა და ტბის შუა გავლებულს თხრილზედ.

*** გორი. კვირას, 8 თებერვალს, აქ გორის მაზრის უფროსის ზ. შ. ერისთავის პატივსაცემლად გამართულ იქმნა გამოსათხოვებელი სადილი, რადგან თ. ზ. შ. ერისთავი სამსახურს თავს ანებებს. სადილს აუარებელი ხალხი დაესწრო. სადილზედ მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა. სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. დაიწყო ნაშუადღევის 2 საათზედ და მოსადილენი მხოლოდ საღამოს 9 საათზედ დაიშალნენ.

*** დ. სურამი. წარსულს კვირას აქაურ მცხოვრებელთა საერთო ყრილობამ დაადგინა: დააარსოს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი და იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ ხაზინამ სასწავლებლის შენობის ასაგებლად 1,000 მან. დახმარება აღმოგვიჩინოს ერთხნობით და შემდეგ სასწავლებლის შენახვისათვის ყოველგვარ საჭირო ხარჯს ჩვენ ვიკისრებთო.

*** 6 თებერვალს ხარფუხში თითბერიძის სახლში სოფ. ენაგეთის მცხოვრებელ ილია ქიქოძის $5^{1}/_{2}$ წლის ქალიშვილი ნინო მაყალის ახლო თამაშობდა, გაუფრთხილებლობით კაბაზედ ცეცხლი წაეკიდა, რამდენსამე ადგილას სხეული დაიწვა და 8 თებერვალს გარდაიცვალა.

*** 8 თებერვალს, დილის 10 საათზედ, პავლე ლობადენკომ, რომელიც მიხეილ ბასანოვის წისქვილში ჰმუშაობს, გამოუცხადა პოლიციას, რომ დილის 5 საათზედ, წისქვილში შიგნით ვმუშაობდი, ვიღაცის ფეხის ხმა გავიგონე, გავიხედე ფანჯრიდგან და დავინახე უცნობი კაცი, რომელსაც გრძელი შავი პალტო ეცვა, სახე არ დამინახავს, რადგანაც ბნელოდა. განვაგრძე მუშაობა, რადგან ასე მეგონა, წისქვილში ამოდის-მეთქი. შემდეგ ფეხის ხმა მისწყდა, მომესმა, რომ რაღაცა ჩავარდა წყალში, გამოვვარდი, ვნახე, რომ წყალი ერთ ადგილს ამღვრეულიყო და კაცი-კი არსადა სჩანდა. გავიქეცი ბასანოვის ქვემო წისქვილში, ბევრი ვეძებე წყალში და წისქვილს ქვეშ, მაგრამ დამრჩვალის გვამი ველარსად ვიპოვნეო. გამოძიება სწარმოებს, რათა აღმოჩენილ იქმნას დამრჩვალის გვამი და შეტყობილ მისი ვინაობა.

*** გუშინ წინ, 8 თებერვალს, საღამოთი, მიხეილის ქუჩაზედ, სახლთან № 144 იპოვნეს ორის თვის დაბადებული ბავშვი მამათა სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## წერილი ქსნის ხეობიდან

ჩვენში მგზავრი ადვილად შენიშნავს, რომ ბარათ, ვაკე, გაშლილ ალაგებში უფრო ფართო და დიდი სოფლებია გაშენებული, ვიდრე მთაში, ანუ ზეგან ალაგებში და მისს ხეობებზე. ისიც ადვილი შესანიშნია, რომ ბარის მცხოვრებნი თითქმის ყველაფრით განირჩევიან მთისა და ხეობათა მცხოვრებთაგან ისე, როგორც მთისა და ბარის ბუნება განირჩევა ერთი ერთმანეთისაგან. მართვა-გამგეობაც უფრო ადვილი და მოსახერხებელია ბარად, ვიდრე მთაში: სამრევლოების და სოფლის სამართველოების მოწყობა ბარად უფრო ადვილად ხერხდება, ვიდრე მთაში.

სწავლა-განათლებაც ამ ორის ჯურის მოსახლეთა შორის ერთისა და იგივე წეს-რიგითა და მოწყობით ყოვლად უსარგებლო და ხანდახან მავნებელიც ხდება. ბარად სდგამენ რომელსამე დიდი სოფლის შუა ალაგას სკოლის შენობას და ყველა მცხოვრებნი ამა სოფლისანი ადვილად სარგებლობენ იმის სიახლოვისა გამო. მთასა და ხეობებში-კი, რადგანაც დიდი სოფლები არ არის, რომ შეეძლოთ სკოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სკოლის დამაარსებელნი განაჩენის ძალით აერთებენ რამდენსამე საზოგადოებას, ხუთიდგან ათამდის წვრილმან სოფლებს, მათ შორის ირჩევენ შუა საზოგადოებას, სდგამენ იქ სკოლისათვის შენობას და უბრძანებენ: „აი სუფრა მზად არის და ყველამ ისარგებლეთო“, მაგრამ შესაძლოა ამისთანა სკოლას მისწვდეს საწყალი გლეხის შვილი და ისარგებლოს? ყოვლად შეუძლებელია. მაგალითით ავხსნათ. დუშეთის მაზრაში, სხვათა შორის, არსებობს ორი სკოლა: ახალგორისა და ზახორისა. რასაც ახალგორისაზე ვიტყვით, იგივე ითქმის ზახორისა და მეტადრე მომავალ მონასტრის სკოლაზედ (სამივე ქსანზეა).

პატივცემულმა თ. ა. ო. ჩოლოყაშვილმა (დუშეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავლად ნამყოფმა) დიდი სამსახური გაუწია სწავლა-განათლების მხრივ დუშეთის მაზრის იმ ნაწილს, სადაც საბატონო გლეხობა სცხოვრობს. დააარსა და მოაწყო ბევრის დაბრკოლების დაძლევით მუხრანის ორ-კლასიანი სასწავლებელი, დააარსა და მოაწყო აგრეთვე ერთ-კლასიანი სასწავლებლები: ახალგორისა, ზახორისა და ჯერ დაუთავებელი მჭადის-ჯვრისა. დიდი მადლობის ღირსია პატივცემული თავადი ასეთის შრომისათვის. იმას მოგახსენებდით, შესაძლოა თუ არა ბარისებურ ანგარიშით დაარსებული სკოლა გამოდგეს მთაში? მაგალითად ავიღოთ ახალგორის სკოლა. იგია დაარსებული შვიდის საზოგადოებისაგან, რომელნიც შესდგებიან ოცდა-ხუთამდის წვრილის სოფლისაგან. ეს საზოგადოებანია: 1) ახალგორისა, სადაც სკოლა არსებობს და სწარმოებს ეს თხუთმეტი წელიწადია; 2) ოძისისა, რომელიც სკოლას მო-

---

ქა, კიდე დაგიმატებ შაჭამანდს, დამიდგეს თვალი, მინდორში სუ კვირის კვირობამდის ცარიელა პურზე ხარო, და ვინ მოსთვლის კიდევ რეებს არ მეტყვის ამღამ ეშხისაგან თვალებ-მიბნედილი ჩემი ვარდის კონა მეუღლე ვახშმის მადასაღერღელის ასაშლელად. რა გაცინებთ, ე?.. თქვენ თუ ყველა ალალმართლად ნათქვამ სიტყვას კუდი არ გამოაბით, ხო გული არ გაგიძლებთ! აი ქრისტემ რა გიყოთ თქვენ!.. არა, ეგ თქვენი უწმაწური ხუმრობა იქით იყოს, კაცებო, და ნეტავი მითხრა: კაი ცოლ-შვილისთანა ფას დაუდებელი კიდე იქნება რამე კაცისათვინ ცის ძირის-ძირობამდე?

— რატომაც არ იქნება: ხემწიფობა, სიმდიდრე, ნაჩალიკობა, და, რა ჩემი ფეხები ვიცი, ცოტა რამ არი ქვეყანაზე კიდე ფას-დაუდებელი-რა.

— ეჰ, ჩემო გიგლავ, ჯერ შენ კიდევაც ჯეილი ხარ და ჭკვა ჯორის კუდივით მოკლე გაქვ. როცა დაჰკაცდები და ცოლს შაირთავ, თავში დაბუდებული მწყრები დაგებუმბლებიან, დაგიფრინდებიან, ჭკვაზე მოხვალ, და მაშინ მაგრე აღარ ილაპარაკებ. კაცს თუ ავი-უნამუსო ცოლისაგან გული აქვს მოკლული და თავი აქვ მოჭრილი, მაშინ იმ კაცისათვინ ხემწიფობა-ნაჩალიკობაც ჭიანი ტყემალია და სიმდიდრე-სამოთხეც ჯოჯოხეთია. მაშინ ის კაცი პირქვე უნდა ჩააგდონ სამარეში და ზედ მიწა მიაყარონ, რო მკვდარიც-კი საფლავიდამაც იმ ქვეყნისაყენ აღარ ამოიყურებოდეს, სადაც იმისი სიცოცხლის გამჯოჯოხეთებელი და თავს-ლაფ-დამსხმელი სამგლე ცოლი დასრიალებდა ყორის გველივით.

— ია, ცხონდა შენი დედ-მამის სული, რაც მართალია — მართალია. აბა დაფქვი კიდე, ჩხვინკავ, დაფქვი, ადამიანთა გულის ჭირის და ლხინის დახატულად ამომეტყველი შენი ღვთისაგან ნაკურთხი, სიბრძნის-მეტყველი ენა-პირით, — თავი მოუქონეს ჩხვინკას.

— როცა ი მთის ვარდივით ლოყებ-გალაღანებული, შავ-თვალა და ძუძუ-კოკობა ჩემი დედაკაცი სიყვარულით თვალ-წარბში მიყურებს: ვნახოთ რა ეწყინება და რა ეამება ხემს ქმარსო, და თანაც თვალ-მარგალიტივით პატარა, ცელქი ბალღები ყელს გეხვევიან საამური ტიტინით და „მამავ-მამილოს“ ძახილით, აბა, მაშინ ამას რომელი მეფობა-ნაჩალიკობა და სიმდირე-სამოთხე ჰჯობია, შე კაი კაცო და მე უკეთესო! რას ამბობთ, რას! ერთი ი ჩემი ნამუსიანი და ენა-ტკბილი ვარდის-კონა დედაკაცის შეხედვა მთელი ქვეყნის სიმდიდრე-მეფობას მირჩევნია და იმის მარწყვის ტუჩებთან ტუჩების შედუღება — ზეციურ სამოთხეს!.. შარშან რო ყაჩაღებმა ჩვენებური ცხენები დაიტაცეს და დავედევნენით, მთელი ორი კვირა პირ იქით დაღისტანში დავრჩით, მინამ ვიპოვნიდით, ჩემი დედაკაცი თურმე იგრე ტიროდა და იმღუღრებოდა, რო თავს იკლავდა: ვაი თუ ყაჩაღებმა მომიკლან გულის საყვარელი ქმარიო, და იგრე ძალზე ჰწყუროდა თურმე ჩემი ნახვა, როგორც ქალს — გათხოვება და ლოთს — ქარვა-ლალის ღვინო. მეტისმეტი სევდა-ნაღვლისგან ლოგინად ჩავარდნილიყო საწყალი და გავსილ მთვარესავით გაბადრული დედაკაცი ძველ-მთვარესავით დალეულიყო, დამდნარიყო, დამჭკნარიყო, ბროლ-ლალის ფერი ლოყები ყვითლად ჩამოჰხმობოდა, შავი ბრიალა, ცეცხლივით გიზგიზა თვალები წყალ-დასხმულ ნაკვერჩხლებივით ჩაჰქრომოდა, ჩაჰცვივნოდა სადღაც ჯურღმულში და ძვალ-ტყავად ნაქცევი საფლავიდამ ამოღებულ ჩონჩხსა ჰგვანდა. მაგრამ, დამინახა თუ არა, მარგალიტის ცრემლების ბნევით ყელზე მომეხვივა გულ მდუღარედ ატირებული და იგრევ შუქნათლიან მთვარესავით გაივსო და გაიბადრა დანდობილა, როგორც გვალვისაგან დამჭკნარს ველის ყვავილს საჩქაროდ გააცოცხლებს და დაამშვენიერებსყე ჟუჟუნა წვიმა. აბა, რა შავქვათ მინდოდა თუნდა მთელი ქვეყნის სიმდიდრე-მეფობა, თუ-კი აიგეთი ენა-ტკბილი, ერთგული, ჩემი მოსიყვარულე და ჩემთვის თავ-გადაკლული ცოლი არ მეყოლებოდა!..

— მართალს ამობ, მართალს!

— ოღონდაც, ჩხვინკავ, ოღონდაც, კაი ცოლი გვირგვინია ქრმისაო, იაზმაა ოჯახ-შვილებისაო.

— აი ეხლა კიდე რას გეტყვით, კაცებო, ნახა სიტყვამ მოიტანა, დაიწყო ისევ ჩხვინკამ: ერთ სოფელში ერთ ასტავკაში გამოსულ პოლკოვნიკთან ვიყავ მოჯამაგირეთ. იმ პომპოლიკს — ბზით გატენილი უტვინო თავი გაუხმეს — კაი სიმდიდრეცა ჰქონდა, კაი გვარიშვილიც იყო, კაი მარწყვიკონასავით შვილებიცა ჰყავნდა კაი ზიზილ-პიპილო ჯვარ-მენდლებიც ეყარა ი გასახმობ გულის ფიცარზე დიდი პენციაც ეძლევოდა, რადგანაც სამგან არი დაჭრილი ბარკლებში და ათასნაირ ველის ყვავილებიან ბაღში ჩადგმული იმისი უზარმაზარი, სამ-ატაჟიანი სახლი სამოთხის სახლსა ჰგავს, მაგრამ რა გამოვიდა, იმის უნამუსო-მოღალატე ცოლს იგეთი სიპლუტის დალაბანდი აქვ დაკრული ქვეყანაში, რო ათას წილად სჯობია ი საბრალო პომპოლიკი თავის ჩინ-აპელატებით და იმისი ვერაგი-სამგლე ცოლი თავის პუჭპუჭებ-რიკრიკებიანი კაბებით დღესვე ჩაძვრნენ ორნივ ერთად მიწაში, რო ცოლმა თავის უნამუსობა სოფლის ნამუსიან მანდილოსნებსაც არ გადაჰკიდოს ძაღლის ქეცივით, და ქმარი აღარ დაღოღავდეს ჭია-მატლივით იმ მიწაზე, სადაც აიგეთი თავრიზის ვირივით ყველას ამტან-მომთმენი, გამობენტრებული ყეყეჩა კაცუნები ღმერთს არ გაუჩენია ქართვლის სოფლებში ვაჟკაცთა სამარცხვინოდ. ვინც კი კაცური კაცია და ქუდი ჰხურავ თავზე, მტერთა გულისა მპობელი, ვაჟკაცობით სავსე ქიზიყელივით ყველთვის ამას უნდა ამბობდეს წარბ-შაუხრელად: მინამ ვიქნები, კაცი ვიქნები, როცა არა — და ამ ჩემს ფეხებსო!.. სწორედ არ ვამობ, კაცებო?

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორებულია რვა ვერსით; 3) ძეგლევისა—შესდგება რამდენისამე წვრილის სოფლისაგან, გაბნეულია ხეობებსა და მთა-გორაკებზედ, ზოგი მათგანი შვიდის ვერსით ჰშორავს ახალგორს; მხოლოდ ერთი სამიოდე კომლიანი სოფელი, ფიჭვნარი, ორი ვერსის მანძილზეა სკოლიდან და ისიც ისეთ ციცაბოზეა გაშენებული, რომ ყმაწვილს იქიდგან სიარული სკოლაში არ შეუძლია. 4) იკოთისა, სკოლიდგან ოთხი ვერსის მანძილზეა. 5) ბოლისა—შესდგება ათიოდე პაწაწინა სოფლისაგან, ზოგი მათგანი ხუთი-ექვსის ვერსის მანძილზეა სკოლისაგან და ყველა-კი მდინარე ქსნით იყოფება ახალგორისაგან. 6) წირქოლისა,—ესეც იმავე მდგომარეობაშია სკოლის მხრივ, როგორც ბოლის საზოგადოება, და 7) ალევისა,—ეს ხომ სულ გადაკარგულია და სრულიად მოწყვეტილი თავისს სკოლას. იგი შესდგება თექვსმეტამდინ წვრილმან სოფლისაგან და ერთი მათგანი მგონია 28 ვერსზეა ახალგორიდგან, ხოლო უახლოვესი სოფელი ამ საზოგადოებისა კორინთაა (თ. გ. დ. ერისთავის სამყოფელი) და სკოლიდგან ათ ვერსზეა.

როგორც მკითხველი დაინახავს, არც ერთს ზემოდ მოხსენებულს ექვს საზოგადოებას არ ძალუძს თავიანთის სკოლით ისარგებლოს. ამიტომ დარჩათ ბურთი და მოედანი ახალგორის მდიდარ ვაჭრებს. ეგრეც არის. თხუთმეტი წელია, რაც ახალგორის სკოლა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მარტო ოთხი ყმაწვილი სწავლობდა ექვსი—გარეშე საზოგადოებიდგან. ახალგორის სკოლის შესანახავად ახალგორის საზოგადოებას აწერია 129 მანეთი და დანარჩენი ექვსი საზოგადოება 600 მანეთზე მეტს იხდიან წელიწადში. მაშასადამე, თხუთმეტის წლის განმავლობაში ექვსმა ქართველისა და ოსის საზოგადოებამ გარდაიხადეს სიშორისა გამო გამოუსადეგარის სკოლის შესანახავად 9,000 მანეთი, სარგებლობა-კი იოტის ოდენა ვერა ჰნახეს-რა. ამავე დროს ახალგორის შეძლებულმა ვაჭრებმა გარდაიხადეს სასკოლო გარდასახადი 1935 მანეთი და ყოველ წლიურად ზრდიან 50-მდე ქალ-ვაჟს. ნუ თუ ეს სამართალია?

ამ სკოლის ასეთი ნაკლი მალე იგრძნო დამაარსებელმა თ. ჩოლოყაშვილმა და ადრევე მოიწადინა სკოლის გადატანა ოძისში. თუმცა ეს სოფელი უფრო მოუხერხებელია სხვა საზოგადოებათათვის, ვიდრე ახალგორი, მაგრამ იმით ხელმძღვანელობდა, რომ „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“. ამ აზრს ხელი შეუწყო პატივცემულმა თ. ზაქარია გიორგის ძემ ერისთავმა, რომელმაც მოიწადინა ახალგორის სკოლა თავის ოძისის სკოლასთან შეეერთებინა და გაერთებულის ღონით გასძღოლოდა სწავლა-განათლების საქმეს. განაჩენებიც დაიწერა, კიდეც წარსდგა, სადაც რიგი იყო, მაგრამ ჩაილურის წყალი დალია.

დღეს ბევრსა ჰზრუნავს ამ სკოლის რიგიანად მოწყობისათვის თავადი კონსტანტინე როსტომის ძე შალიკაშვილი, რომელმაც საუცხოვო გეგმა შეადგინა და ბოლო-კი არა სჩანს ჯერ. წრფელის გულით ვურჩევთ, ვინც ამ სკოლისათვის ჰზრუნავს, შენობის აშენების დროს მოაქციოს ოციოდე გარეშე საზოგადოების ყმაწვილებისათვის თავ-შესაფარი, თორემ უიმისოდ შესაბრალისია ხალხი.

აი სად უნდა იწარმოვოს მოძრავმა სკოლებმა ჩვენში, ან სამრევლო პატარა სკოლებს ხომ გზა ხსნილი აქვთ და რატომ ყოველ ეკკლესიასთან არ აარსებენ ქსნის ხეობაზედ?!.

ძმუისელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ჭიათურა.** როგორს მდგომარეობაშია დღეს შავის ქვის საქმე? გერაფერსა მაინც და მაინც. მხოლოდ ჰქვიან-კი „შავი ქვა“, მხოლოდ დღეს იმ მველის შავის ქვისა, რომელმაც თავისის ხარისხით ისე გაითქვა სახელი და თავისის სარგებლობით ვინ იცის რამდენს არ მოუბრუნა პირში სული, დღევანდელ შავ-ქვას არაფერი სცხია. სანამ რკინის გზას გაიყვანდნენ, მხოლოდ რამდენიმე შეძლებული კაცი აწარმოებდა ქვას, რადგან პატარა თანხით შეუძლებელი იყო მუშაობა. ეს მწარმოებლები ჰხარჯავდნენ საჭირო ფულს და როგორც წესი და რიგი იყო, ისეთ ქვას აღებინებდნენ. ქვაც, რასაკვირველია, კარგის ხარისხისა იყო და კარგ ფასადაც გადიოდა. დღეს-კი ისე გახშირდნენ შავის ქვის მწარმოებელნი, რომ იმათი დათვლაც-კი შეუძლებელია.

მართალია, მათ შორის ბევრი შეძლებულია, რომლებსაც ნამდვილი ქვის დამზადება და გადმოტანა შეუძლიანთ, გასავალი რომ ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ უმეტესობის შესახებ გვაქვს ლაპარაკი და ეს უმეტესობა იმათგან შესდგება, რომელთაც საცადა 100—200 მან. უშოვიათ (ზოგს ამდენი არც-კი აქვს) და ქვის წარმოებისათვის ხელი მოუკიდნიათ. იღებენ ქვას, ჩააქვთ ჭიათურას ან ზესტაფონში, აბარებენ მსხვილ მწარმოებელთ და ვითომ ამითი უნდათ ფული მოიგონ. მაგრამ ერთი ესეც ვკითხოთ რა რიგად უნდა მოიგონ ფული, როდესაც ფუთში მაურზედ მეტს არ აძლევენ და ამ ფასზედ მეტად თითონ დაუჯდებათ, კარგი ხარისხის ქვა რომ დაამზადონ. ამიტომ ეს ვაჟბატონები ყოველ ნაირ ხერხსა და სიყალბეს ჰხმარობენ, რომ თავიანთი ფული ქვას ზედ არ მოახმარონ. კარგის ღირსების ქვის მაგიერ მიწა ჩააქვთ და იმას ასაღებენ შავის ქვის სახელით. დღეს ყოველი მეფურნე და მეთორნეც-კი შავის-ქვის წარმოებას მისდევს და თავისს წინანდელ საქმეზედ-კი ხელი აუღია. აბა ასეთი მწარმოებლები რას დაგიდევენ შავის ქვის სახელის დამცირებას. არც თუ დიდი მწარმოებლები იტკიებენ თავს ქვის სახელის აღდგენისათვის. ოღონდ ერთი კაპეიკით ნაკლებად ჩამოუტანეთ საწყობზედ, თორემ არას დაეძებს, თუნდა ნახევარი შავი მიწა იყოს ქვის მაგიერ. ვითომ ასეთის უყურადღებობით იმიტომ ვკიდებით საქმეს, რომ საზღვარ გარედ მეტად დაეცა შავის ქვის ფასიო და ან რად აიწევს, თუ-კი ცუდის ღირსების ქვას გავიტანთ ბაზარში. რაკი დიდი მწარმოებლები მცირე ფასს იღებენ, ამიტომ წვრილი მწარმოებლებიც არას დაგიდევენ და ამ რიგად ჭიათურაში ნახევარზედ მეტი შავი მიწა ჩამოაქვთ.

აქედგან ნათლადა სჩანს, რა მდგომარეობაშიაც არის დღეს ჭიათურის შავი ქვა და ვინ იცის, შემდეგში რა მოელის, თუ ამ გზაზედ იარა. ამ ჟამად აქაური მწარმოებლები სიხარულით მოელიან იმას, რომ იქნება ღმერთმა მოგვხედოს და რკინის გზის გადასატან ქირას დაუკლონო. არა მგონია, რომ მარტო ქირის დაკლებით გაუმჯობესდეს ჭიათურის შავის ქვის საქმე, თუმცა ისიც მართალია, რომ ერთის მხრივ აუტანელ ხარჯად აწევს ამ საქმეს ამდენი გარდასახადი.

თავისუფალი

## უცხოეთი

**იტალია და სამთა კავშირი.** რომიდგან საეროვნო სააგენტოს სწერენ: „სამთა კავშირის სახელმწიფოთა შორის თანხმობა თან-და-თან ირღვევა. როგორც უკვე უწყით, გერმანიისა და ავსტრიის მიუხედავად, იტალია სიხარულით მიეგება მეფის შვილის გიორგის კანდიდატურას კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. ამას გარდა, როგორც იუწყებიან, ავსტრიის იმპერატორი „Statuts“-ის ასის წლის შესრულების დღესასწაულზედ, რომელიც ამა წლის მარტში უნდა მოხდეს, არ იქმნება მიწვეული, რადგან მან არ ინახულა მეფე ჰუმბერტო, რომელიც მარშან ვენაში იმპერატორთან იყო. 1898 წლის დეკემბერს იდღესასწაულებენ იმპერატორის ფრანც-იოსების მეფობის ორმოცდა-ათის წლის შესრულების იუბილეს, რომლის დღესასწაულსაც ევროპის სახელმწიფოთა სამეფო გვარეულობის წევრთა, იტალიის სამეფო გვარეულობის წევრთა გარდა, უმეტესობა დაესწრობაო“.

**კრიტი.** „Temps“ სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: „რადგანაც ოსმალეთის სულთანს ჯერ თავისი აზრი არ წარმოუთქვამს მეფის შვილის გიორგის კანდიდატურის შესახებ, რუსეთსა ჰგონია, რომ ოსმალეთმა თვით დაასახელოს ახალი კანდიდატი კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ რუსეთს აღარ უნდოდეს კრიტის გენერალ-გუბერნატორად გიორგი იქმნას დანიშნული, პირ-იქით, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ უფრო შესაფერ დროს რუსეთი ხელ ახლა წამოაყენებს ამ კანდიდატურას“.

## სასამართლოს მატიანე

28 აგვისტოს 1897 წელს, ღამე ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ, პოლიციელმა ბელოვეცკიმ შეამჩნია, რომ ვიღაც კაცმა ღია ფურნის გვერდით გაიარა ლიტანოვის სახლის ეზოში. მალე ბელოვეცკიმ დაინახა, რომ ეზოდგან ვიღამაც ქუჩის კარების ქვეშ გამოჰყო ახლად თავმოჭრილი მამალი. ცოტა ხნის შემდეგ იმავე ფურნიდგან გამოვიდა ისევ ის კაცი და ქუჩის კარებისაკენ წავიდა. ბელოვეცკიმ ეჭვი აიღო, ეს კაცი მამალს იპარავსო და უნდოდა დაეპატიმრებინა, მაგრამ მან რაღაც დაჰკრა ხელში ისე ძლიერად, რომ პოლიციელმა ხელიდგან გაუშვა და ბოროტ-გამზრახველი გაიქცა. ბელოვეცკის მიეხმარა მეორე პოლიციელი დროჟეინი. მაშინ ბოროტ-გამზრახველმა ამოიღო ჯიბიდგან დასაკეცი დანა, შეუტია პოლიციელებს და ბრძოლის დროს დასჭრა დანით პოლიციელი ბელოვეცკი ხელში ერთს ალაგას და დროჟეინი-კი ოთხ ალაგას. პოლიციელებმა როგორც იყო შეიპყრეს ეს კაცი, რომელიც გლეხი დავით ნათაშვილი გამოდგა.

ნათაშვილმა თავისი თავი დამნაშავედ არ აღიარა და სთქვა, პოლიციელები მცემდნენ და მეც თავის დაცვა მსურდა დანითაო.

ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 6 ბერვალს ეს საქმე და მიუსაჯა ნათაშვილს ყოველის ღირსებისა და უფლების ჩამორთმევა და სამის წლით პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა.

## დამაკვირდი

თუ აზრი იმდენად სუსტია, რომ სადა სიტყვით არ გამოითქმის, ეს ნიშანია იმისის უვარგისობისა.

ვავენარგი

* * *

ადამიანნი ჩვეულებრივ საქმით წინააღმდეგობას უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე სიტყვით წინააღმდეგობას.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

* * *

ლერწამი შემუსვრილი არა განიტეხოს და პატრუქი მბდვინვარე არა დაიშრიტოს.

იოანნე ბოლნელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი ამერიკელი არტისტი ამტკიცებს, რომ ქალის ხასიათი და ზნე-ჩვეულება იმის ხმაზე შეიტყობაო. ჯერ ისევ შექსპირმა სთქვაო, ამბობს ეს არტისტი, რომ „ნაზი ხმა ქალის მშვენიერს გულს ამხელსო“. კეთილის გულის ქალებს ნაზი, სასიამოვნო და ტკბილი ხმა აქვთ. ბოხის ხმის ქალები კაცებს არ მოსწონთ, მაგრამ ეს ქალებიც დიდს ყურადღებას არ აქცევენ კაცებს. სამაგიეროდ მტკიცე ხასიათის პატრონები არიან ეს ქალები და ხშირად მიახწევენ ხოლმე თავიანთის გულის წადილს. ზოგიერთს ქალს ისეთი ხმა აქვს, რომ ადამიანს ყოველთვის ჰგონია, არაფრით კმაყოფილი არ არისო, მუდამ თითქო სჩივის რამეზე, მუდამ უკმაყოფილოა. ასეთს ქალებს კაცი უნდა ერიდოსო, ამბობს ზემოხსენებული არტისტი. ახალგაზდობისას ასეთი ქალი, შეიძლება ძლიერ შეუყვარდეს კაცს, მაგრამ რაც ხანში შევა, მაშინ გამოიჩენს თავისს ცუდ ზნე-ჩვეულებას.

* * *

ერთს მოცლილს ამერიკელ სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია, რომ 400 წლის შემდეგ ყოველივე ადამიანი გიჟი იქმნებაო. აი როგორ ასაბუთებს ამ უცნაურს წინასწარმეტყველებას უცნაურივე წინასწარმეტყველი. 40 წლის წინადაო, ბრძანებს ეს სტატისტიკოსი, 535 კაცზე მხოლოდ ერთი გიჟი მოდიოდა, ამ ჟამად-კი ერთი გიჟი მხოლოდ 312 კაცზედ მოდის. თუ ასე წავიდა საქმე, 100 წლის შემდეგ 1 გიჟი 100 კაცზე მოვა, 250 წლის შემდეგ 1 გიჟი 10 კაცზე და 400 წლის შემდეგ ევროპაში სულ გიჟები იქმნებიან.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 თებერვალი.

**პარიჟი.** სასამართლოს შენობის გარშემო გუშინდელზედ მეტი ცნობის მოყვარეა შეკრებილი, თუმცა დიდი წვიმაა. ხალხი პელიეს მიესალმა. პიკარისა, ზოლასი, ესტერგაზისა და ქ-ნ ბულანსის მოსვლას არავითარი ამბავი არ მოჰყვა. პოლიციის აგენტთა რიცხვს მოუმატეს. შუადღისას მოვიდნენ გენერალი ბუადეფრი, გონზი და დელანდი. დარბაზი სავსეა. მეტად დიდი აღელვებაა. გაცხარებული ბაასია გუშინ მომხდარ ამბის შესახებ. ბუადეფრი სასამართლოს წინაშე წარსდგა მუნდირით (ყურადღების ნიშნები). თავმჯდომარე კითხულობს პელიეს გუშინდელ ჩვენებას და ჰკითხავს: „რას იტყვით ამაზედ“. ბუადეფრი უპასუხებს: „ვამტკიცებ ყველაფერში პელიეს ჩვენების, როგორც სიმართლეს, ისე სინამდვილეს, ხოლო მეტს არც ერთს სიტყვას არ დავსძენ“. (ხანგრძლივი მოძრაობაა). ნაფიცნო მსაჯულნო, განაგრძობს ბუადეფრი მსაჯულთა მიმართ, თქვენ აქ ერის წარმომადგენელი ხართ, თუ ერი არ ენდობა თავისს ჯარის უფროსებს, დაე წარმოსთქვას ეგა: ჩვენ მზათა ვართ გადავსცეთ სხვას ზრუნვა ჩვენს მოვალეობაზედ. ნაფიცნო მსაჯულნო! თქვენ აქ ერს წარმოადგენთ, გამოსთქვით თქვენი აზრი (ხანგრძლივი მოძრაობაა, ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს“. გენერალი ბუადეფრი, რომ წავა ხანგრძლივი ტაშის ცემა ატყდება). ბუადეფრის ჩვენების შემდეგ ლაბორიმ განაცხადა: „მე მსურს გენერალ ბუადეფრს ვკითხო რამ“. თავმჯდომარე: „თქვენ არაფერს ჰკითხავთ“. ლაბორი: „რატომა?“ თავმჯდომარე: „არა, არაფერს ჰკითხავთ!“ შემდეგი მოწმე მოვიდეს. თავმჯდომარემ ეს აჩქარებით სთქვა და თუმცა ლაბორიმ წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა: „ჩემს მოხსენებას წარმოვადგენო“, ბოქაულმა მოიხმო ესტერგაზი, რომელიც მალე მოვიდა. დარბაზში დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. როცა ესტერგაზი მოწმის ალაგას დაჯდა, თავმჯდომარემ ჰკითხა ლაბორის: რა გნებავთ ჰკითხოთო?“ ლაბორიმ უპასუხა: „მე ეხლა მოხსენებას ვწეროო“. თავმჯდომარე: „კეთილი, მე თითონ ვკითხავ.—ამბობდნენ, რომ თქვენა ხართ ბორდეროს ავტორი, რას იტყვით ამაზედ?“ ესტერგაზი.—უპირველეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ: ნაფიცნო მსაჯულნო! სრულიად უსაფუძვლოდ ავაზაკი მატიე დრეიფუსი ბრალსა მდებს, ვითომ მე მედოს წილი იმ დანაშაულში, რომელიც იმისმა ძმამ ჩაიდინა. მე განმასართლეს ჩემმა თანასწორებმა და გამამართლეს, ხოლო ეხლა კვლავ ბრალსა მდებენ იმ დროს, როდესაც არა მყავს მრჩეველი, არა მყავს ვექილი და დამცველი. მე მზათა ვარ პასუხი მოგცეთ ყველა კითხვებზედ, რომლითაც-კი ინებებთ მომმართოთ. მაგრამ რაც შეეხება ამ ხალხს,—მიუბრუნდება ზოლასა და ვექილებს,—მაგათ-კი პასუხს არ გავცემ. (ხანგრძლივი ტაშის ცემაა). თავმჯდომარე ჰკითხავს ლაბორის: „გნებავთ თუ არა ჰკითხოთ რამ ესტერგაზის?“ ლაბორი უპასუხებს: „მე ეხლა ვწერ ჩემ მოხსენებას და მხოლოდ მაშინ ვკითხავ, როცა სასამართლო თავისს გარდაწყვეტილებას დაადგენს ამ მოხსენების შესახებ“. თავმჯდომარე: „ან ეხლავე ჰკითხეთ, რაც გნებოთ, ან არა და ველარაფერს იკითხავთ“ (ხმაურობაა). ლაბორი წინააღმდეგობას აცხადებს. თავმჯდომარე ამბობს: „ესტერგაზის შეუძლიან წავიდეს“. შემდეგ თავმჯდომარე სხვა მოწმებს გამოუძახებს, მაგრამ არავინ გამოცხადდება. პელიე სთხოვს სასამართლოს, ნება მომეცით წარმოვადგინო ვინაობის ბარათი ერთის კაცისა, რომელსაც ორდენი აქვს ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი გთხოვთ მოუსმინოთ იმის ამბავი, თუ როგორ შეაძლიეს ფული. თავმჯდომარე არაფერს უპასუხებს და კრებას შესწყვეტს, რომ ლაბორის დრო მისცეს მოხსენების დაწერისა. კრების შეწყვეტის დროს ზოლა და მისი ვექილები ცხარედ ბაასობენ და ხელებს ზეცისკენ აპყრობენ. საათნახევრის შემდეგ საქმის გარჩევა ისევ დაიწყო. ლაბორიმ წარადგინა თავის მოხსენებანი იმის წინააღმდეგ, რომ ნება არ მისცეს ეკითხა რამ ბუადეფრისათვის, თუმცა არ იცოდნენ რას ჰკითხავდა. ლაბორი წინააღმდეგია აგრეთვე მართლმსაჯულების დარღვევისა, რადგან ვექილს ლაპარაკის ნება არ მისცეს. დასასრულ ითხოვს კვლავ მოიხმეთ ბუადეფრი, პელიე და ესტერგაზი. მთავარ-პროკურორი ამბობს: „მე ვითხოვე, რომ დრეიფუსის საქმის შესახებ აქ ლაპარაკი არ იყოს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს სასამართლოს გარდაწყვეტილებისა. ლაბორი უპასუხებს: „გენერლები მოდიან აქ საბრძოლველად მუნდირებითა და ორდენებით... (საწინააღმდეგო ხმებია) ჩვენ გვაყვედრიდნენ, რომ ჩვენ ვსცდილობთ საქმის ხელ-მეორედ გარჩევა გამოვიწვიოთ, ხოლო გენერლებსა ჰსურთ ამასაც გადააჭარბონ. ლაბორი დასძენს: „თუ ესტერგაზი გამართლებულ იქმნა, ამის პასუხის მგებელნი მისი მსაჯულნი იყვნენ!..“ (დიდი ხმაურობაა). შემდეგ ლაბორი ლაპარაკობს იმ კაცზედ, რომელიც შორეულ კუნძულზედ იტანჯება და ამიტომ ყურადღების ღირსი არ არის იმ ხალხისა, რომელიც ეხლა ღმუის ამ დარბაზში. ლაბორი აფიცებს სასამართლოს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას აქა მყოფ იმ ხალხს, რომელმაც თითონ არ იცის, რისთვისა ღელავს (ხმაურობაა). ლაბორი დასძენს: „ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ბ-ნნო მსაჯულნო, გზა-დაბნეულ ქვეყნის აღელვებას, ჩაუკვირდით იმას, რომ ჩვენ, შეიძლება, ვდგევართ ჩვენის ისტორიის გადასახვევ გზაზედ და თქვენს განაჩენს ექმნება ისეთი შედეგი, რომლის მნიშვნელობას ეხლა ვერავინ ვერ განსაზღვრავს და ვერ წარმოიდგენს (ხანგრძლივი მოძრაობაა). მსაჯულნი სათათბიროდ გავიდნენ.

**პარიჟი.** დღეს ფორმა ჩვეულებრივის წეს რიგით მიიღო თავადი ურუსოვი, რომელმაც გადასცა რწმუნების ქაღალდები და უთხრა, რომ მომივიდა იმპერატორის ბრძანება დავიცვა რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული კეთილი განწყობილება ორსავე მეგობარ და მოკავშირე ერთა სასარგებლოდაო. ფორმა მიუგო, რომ საიმპერატორო მთავრობაზედ არა ნაკლებ ვაფასებ ურთიერთს სარგებლობას, რომელიც ასეთის გულ-ახდილისა, მჭიდრო და გულითადის თანხმობიდგან გამომდინარეობს. იგი თავმდებია საზოგადო მშვიდობიანობისა და ორივე მეგობარ და მოკავშირე ერის კეთილდღეობისაო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ განაცხადა, ჯერ-ჯერობით არ დავასახელებთ არც ერთს კანდიდატთ კრიტის ვენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედაო. პორტას აზრადა აქვს დაუცადოს სახელმწიფო წინადადებათ დროებითის გუბერნატორის დანიშვნის შესახებ.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. კრების დაწყებისას, თავმჯდომარემ წაიკითხა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ იყო ისეთი საბუთები, რომლის ძალითაც უარი ეთქვა დამცველს ეკითხნა პელიესა და ბუადეფრისათვის, რადგანაც ვექილს აზრადა ჰქონდა გამოეკითხა დრეიფუსის საქმის შესახებაო. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია აგრეთვე: თუ საჭირო იქმნება, ესტერგაზის ხელახლად მოვიწვევთო. დამცველთ მოითხოვეს, ქ-ნ ბულანსის მოუსმინეთ და აგრეთვე მფარველობა გაუწიეთ, რადგანაც ეშინიან არაფერი უბედურება შეემთხვასო. მთავარ-ბრალმდებელმა სთქვა, რომ ქ-ნ ბულანსის, როგორც ყველა სხვას, მფარველობას აღმოუჩენთ, დაიბარეთო. კრების შეჩერების დროს პელიეს გალლერეიაზედ გაუმართეს მანიფესტაცია, რომელმაც 5 წუთს გასტანა. საზოგადოება, ვექილები და სხვები შემოეხვივნენ გენერალს და დაიწყეს ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს“!.. აღელვებულმა პელიემ სთქვა: „მე შემიძლიან მოგიგოთ მხოლოდ ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს საფრანგეთს! იმ კაცს, რომელიც ჰყვიროდა „გაუმარჯოს ზოლასაო“, ცემა დაუწყეს; იგი იძულებული გახდა მოწმეთა ოთახისათვის შეეფარებინა თავი, დერეფანში პოლიციის კომისარსა და ჰერცოგ მონტებელლოს შორის შემდეგი ამბავი მოხდა: ჰერცოგმა დაიყვირა „გაუმარჯოს ჯარსაო“ კომისარმა უთხრა: თუ ყვირილი გინდათ, ქუჩაში გადითო. მონტებელლომ მიუგო: „არავის არ შეუძლიან დამიშალოს წარმოვსთქვა ის აღელვება და ზიზღი, რომელსაც ვგრძნობო!“ დამცველთ განაცხადეს, რომ ქ-ნი ბულანსი მხოლოდ გამოცხადდებაო. ახლად დაბარებულმა პიკარმა, როდესაც დამცველნი შეიკრიბნენ, სთქვა, რომ იმ წუთს, როდესაც სამართალმა ეჭვი ესტერგაზზედ მიიტანეს, სამხედრო სამინისტრომ მიიღო საიდუმლო საბუთის ქაღალდი, რომლითაც ესტერგაზის ბრალი ედებოდაო. მაგრამ შეიძლება, — განაგრძო პიკარმა, — ეს საბუთის ქაღალდი ყალბი გამოდგეს. სწორედ ამას ჰლაპარაკობდა გუშინ პელიეო“. გენერალმა გონზმა შეამოწმა სინამდვილე იმ საბუთის ქაღალდისა, რომლის შესახებაც პელიე ლაპარაკობდა და დაუმატა, რომ ამის მეტს ვერაფერს ვიტყვიო. შემდეგ ესტერგაზი გამოიხმეს. ლაბორი ორჯელ თუ სამჯერ შეეკითხა, ხოლო ესტერგაზიმ მიუგო, რომ პასუხს არ მოგცემო, (დარბაზის სადგურში ტაშის ცემა გაისმა). ლაბორიმა სთქვა, რომ როგორც გავიგე, დარბაზში უაფიცრის-ბილეთოდ არავის უშვებენო (ხმაურობაა). შეკითხების ჯერი კლემანსოზედ მიდგა. ესტერგაზი გაჩუმებული იდგა მოაჯირთან. კლემანსომ ჰკითხა ესტერგაზის ქ-ნ ბულანსოსთან დამოკიდებულებისა და იმასთან მიწერილ წერილების შესახებ. ესტერგაზიმ, ფერ მიხდილმა, ზურგი შეაქცია ზოლასა და იმის ვექილებს. ხალხი დარბაზში საშინლად აღელდა. კლემანსო, ასზედ მეტ ჯერ შეეკითხა ესტერგაზის, მაგრამ არც ერთზედ პასუხი არ მიიღო. ბოლოს კლემანსომ ჰკითხა ესტერგაზს, გქონდათ თუ არა დამოკიდებულება გენერალ შვარცკოპენთანაო. თავმჯდომარემ შეაჩერა და სთქვა, რომ ეგ გარეშე დამოკიდებულებას შეეხებაო. როდესაც კლემანსომ შეუბრუნა *), თავმჯდომარემ უპასუხა: „იმიტომ-რომ არის ისეთი რამ, რაც მაღლა სდგას: ჯარის პატიოსნება და ქვეყნის უშიშრობა“ (ასტყდა ტაშის ცემა და ყვირილი: „ვაშა, ვაშა, სიტყვის თქმის ნებას ნუ მისცემთ“). თავმჯდომარე — გაიყვანეთ ისინი, რომელნიცა ჰყვირიან. შემდეგ ესტერგაზი წავიდა ისე, რომ ხმაც არ ამოუღია. ოტონი გამოიხმეს. ოტონმა სთქვა, რომ ესტერგაზის თავის მოკვლა უნდოდა, როდესაც შეიტყო, სასამართლოში მისი საქმის აღძვრაო. შემდეგ გამოვიდნენ „Figaro“-ს თანამშრომელი ჟიულ გიურე და ორი სხვა მოწმე — გენერალი გერიე და ვეილი. თავმჯდომარემ იმათ ლაპარაკის ნება არ მისცა, რადგანაც კანონიერად არ იყვნენ დაბარებულნიო. კრება ისე დაიშალა, რომ არაფერი ამბავი არ მომხდარა. ხუთი-ექვსი მოწმე-ღა დარჩა უკითხველი. ბრბო ყვირილით მიეგება აფიცრებს, მათ შორის პელიეს. რამდენმამე კაცმა წინააღმდეგობა მოიწადინა, მაგრამ ბრბომ ნება არ მისცა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს; მაგრამ ისევ მალე განათავისუფლეს. ბრბოამ, რომელსაც პოლიცია იმაგრებდა, ზოლა სტვენით გააცილა.

8 თებერვალი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთ „Нижегородскій Листокъ“-ის ბეჭდვა რვა თვით აღკრძალა.

**პარიჟი.** ზოლა სასამართლოში 11 საათსა და 40 წუთზედ მოვიდა. აქა-იქ სტვენა გაისმა, მაგრამ პასუხი არავინ მისცა, კრება დაიწყო 12 ს. და 20 წ. დარბაზი ხალხით გაივსო. პიკარი გამოიხმეს. ლაბორიმ ჰკითხა, ბორდერო 1894 წლის მარტსა თუ აპრილში იყო, დაწერილი? პიკარმა მიუგო, რომ არ მახსოვსო. პიკარმა შესჩივლა, რომ გაზეთები მისაყვედურებენ, შენს შვილებს გერმანიაში ჰზრდიო. მე ჯერ ცოლიც არა მყავს და შვილები რომ მყავდეს, რასაკვირველია, გერმანიაში არ აღვზრდიდი. პიკარმა მოითხოვა, გენერალი გალლიფე დაიბარეთ, რომ ჩემი პატიოსნება და კეთილ-სინიდისიერება შეამოწმოსო. თავმჯდომარემ მიუგო, რომ ეგ საჭირო არ არისო. ლაბორიმ წინააღმდეგობა განაცხადა. პელიემ, რომელიც ხელ-ახლა გამოიხმეს, განაცხა, რომ, გუშინ მთავარ ვექილის მიერ წარმოთქმულ სიტყვების თანხმად, მე უარს ვაცხადებ პასუხი ვაგო იმაზედ, რაც ზოლას საქმეს არ შეეხება. პელიემ დაუმატა: „თუმცა უკვე ვთქვი, რომ ამ საქმეში ყველაფერი უცნაურია, მაგრამ ყველაზედ უცნაური (ამასთან პიკარის მხარეს მიბრუნდა) ერთის ბატონის საქციელია, — მე ამას პირში ვეუბნები იმ ბატონს, — რომელიც ჯერ კიდევ ატარებს საფრანგეთის ჯარის მუნდირს და აქ მოსულა მოწმედ იმიტომ, რომ სამს გენერალს ბრალი დასდოს სიყალბის ჩადენისა და ამითი სარგებლობისაო. (დარბაზის სიღრმეში საშინელი ტაშის ცემაა). პიკარმა მიუგო: „თუმცა დიდად პატივსა ვცემ ჩემს უფროსებს, მაინც შემდეგშიაც მხოლოდ სიმართლისათვის ვილაპარაკებ. მე ვაცხადებ ხელ-ახლა, ჩემის უფროსების თანადასწრებით, ფიქრადაც არა მქონია ეჭვი მივიტანო, რომ იმათ ცუდი ან არა-კეთილ-სინიდისიერი განზრახვა რამ ჰქონდეთ. ნარტონის საქმეშიაც წარჩინებული კაცები ყალბის ქაღალდებით შეცდომაში შეიყვანეს (მოძრაობაა). ლაბორისუნდოდა ელაპარაკა ჯარის-კაცთა კეთილ სინიდისიერების შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ ლაბორის წინააღმდეგობის მიუხედავად, სიტყვის თქმის ნება არ მისცა. შემდეგ გამოჰკითხეს რამდენსამე მოწმეს, რომელთაც ზოლას კეთილ-სინიდისიერება შეამოწმეს, სხვათა შორის ელზასის დეპუტატად ნამყოფს ლალანს, რომელმაც მოიწონა ზოლას საქციელი, შემდეგ დიუკლოს, რომელმაც სთქვა, მე დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ნათელი მოეფინოს პირველის საქმის წარმოების წყვდიადსაო, ანატოლ ფსანსსა, რომელმაც აგრეთვე შეამოწმა ზოლას კეთილ სინიდისიერება. ლაბორიმ წაიკითხა სორბონის პროფესორის წერილი, რომელიც ზოლას ემხრობოდა. კრების მცირე ხნის შეჩერების შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ არ მოუსმინონ ბილიოს, რომელსაც მინისტრთა საბჭომ ნებართვა არ მისცა, და არ წაიკითხავენ წერილს, სადაც მოხსენებულია სიტყვა „ულანი“. პრეზიდენტმა კრება ორშაბათამდის შესწყვიტა. სამშაბათს, უქმე დღის გამო, კრება დიდხანს არ გასტანს. სასამართლოს კამათი ოთხშაბათს დასრულდება. პელიემ ითხოვა, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა დავუმატოვო. პელიემ სთქვა, რომ ის როლი, რომელსაც ამ საქმეში ვთამაშობდი, ჩემდა უნებური იყოვო. ლაბორისაც უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ თავმჯდომარემ უთხრა, დისციპლინის წესით იქმნებით დასჯილიო. (ხანგრძლივი ხმაურობა ტაშის ცემაა). ამის მიუხედავად, ლაბორიმ მაინც ჰკითხა პელიესა და გონზს საარტილერიო საგიდრავლიკო ალაყის შესახებ. გენერლებმა მიუგეს, რომ ამ საქმის ყოველი წვლილი არ ვიცითო. ლაბორის კიდევ უნდოდა შეჰკითხებოდა, მაგრამ დარბაზის სირღმიდგან წინააღმდეგობის ხმა მოისმა. ლაბორიმ წინააღმდეგობა განაცხადა ამ ხმაურობისა და დამცველის უფლებათა დარღვევის გამო. შემდეგ ზოლას მიჰმართა და ჰკითხა, უმჯობესი არ არის დარბაზიდგან წავიდეთ, პირში ბურთის ჩაჩრის ატანასო. თავმჯდომარემ მიჰმართა ლაბორის და შეჰნიშნა: „მაგ კილოთი ლაპარაკს თავი გაანებეთო“. ლაბორიმ უსაყვედურა თავმჯდომარეს, რომ შეურაცხებას მაყენებთო. ამით დასრულდა ეს ამბავი. ლაბორი კიდევ შეეკითხა პიკარს, მაგრამ პიკარმა პასუხი არ გასცა, ეგ საიდუმლოა. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა. სხდომა ორშაბათამდის გადაიდო. სასამართლოდგან გამოსვლის დროს შენობის გარეშემო არავინ სჩანდა. არავითარი მანიფესტაცია არ მომხდარა.

*) დეპეშაში აქ ადგილია გამოტოვებული.
სხოლიო საგენტოსი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებთ „ივერიას“, „ნოვოე ობოზრენიე“-ს და „მწყემსის“ რედაქციებს, რომელთაც არ დაიშურეს და წარსულ წელს უფასოდ გვიგზავნეს თავიანთი გაზეთები.

კიევის სასულიერო აკადემიის ქართველ სტუდენტთა მონდობილობით
დავით ზარაფიშვილი

---



# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.
(წ.)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შმდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |





სტამბა მ. შარაძისა ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.